

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

6 იანვარი 2020 წელი

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე,

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, თამთა დვალიშვილი, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, კობა მაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ტარიელ ბარამიძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის სამუშაო გეგმა. კერძოდ;

1.კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება. (იანვარი)

2.ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ანგარიშის მოსმენა 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. (თებერვალი, მაისი)

3.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა. (მარტი, აპრილი)

4.2020 წლის ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა (წლის განმავლობაში)

5.ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა; (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი).

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა; (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი.)

7. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ; (ივლისი, აგვისტო)

8.ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციების მოსმენა. (ივლისი აგვისტო)

9. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. (სექტემბერი-ოქტომბერი)

10.ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. (ნოემბერი-დეკემბერი)

11.ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვა.(დეკემბერი)

კომისიის წევრებმა მოიწონეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე